# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

განსხმელიძის ქუჩაზე, შუამაზრის თავში მარცხნივ თ. ლორთქიფანიძის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროებისა“ „ივერიის“ რედაქციაში. გარე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წლიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროებისა“ „ივერიისა“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროებისა“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიისა“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი, „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

ერთი ასოს ადგილი სტრიქონზე 1 კაპ., წვრილ შრიფტით ასოს ადგილი სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვეულებრივის ასოთი ასოზე შვ მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან გერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.


1 აგვისტოდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს ოთხი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

## ტელეგრამმები

(სამხრეთ მზრის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 19 აგვისტოს. გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ იწერებიან: ჩინეთის ელჩმა შენგმა გამოუცხადა რუსეთის მთავრობას, რომ ჩინეთი მზათ არის შესცვალოს ლივადიაში შეკრული პირობა და იმისის მაზრა დაუთმოს რუსეთსა, მაგრამ კულჯის მაზრისას კი ერთ მტკაველ მაწას კი ვერ დაგითმობთო. რუსეთი თანახმაა ლივადიის ტრაქტატის ხელ ახლად გადასინჯვისა და შემუშავებისა, მაგრამ ამასთანავე თხოულობს: ა) რომ რუსეთის სამხედრება შესწორებული იყოს, რათა ჩვენი სამფლობელო ადგილები დაცული იყოს მოსამხედრე ჩინელების უწესოებისა და თავსდასხმისაგან და ბ) მცირე ნაწილს კულჯისას, სადაც შეეძლოსთ დასახლება დანგონის მაზრის ხალხს, რომელიც ამ ნაირად ჩინელების შურის-მიებისგან იქნებიან დაფარულნი. მოლაპარაკება ჯერ ამაზედ არის გაჩერებული. ამბობენ, მოლაპარაკება რუსეთსა და ჩინეთს შუა ჩინეთის სატახტო ქალაქს პეკინში იქნება გადატანილიო, სადაც რუსეთის მხრით ბიუცოვი გაიგზავნებაო.

ლონდონი 18 აგვისტოს. უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრმა გრენვილმა გამოაცხადა ლორდების პალატაში ევროპის უმთავრესს სახელმწიფოებს ვერ აკმაყოფილებს ოსმალეთის პასუხი ჩერნოგორიის საქმის შესახებ; სახელმწიფოები ახალ მოთხოვნილებას გაუგზავნიან ოსმალოს მთავრობას და თადარიგს დაიჭერენ, რომ ეს მოთხოვნილება შეწყნარებული იყოს; სამხედრო ხომალდებს გაგზავნიან რაგუზისაკენ, დულცინიოს მახლობლად.

პეტერბურღი, 19 აგვისტოს (ოფიციალური). პეტერბურღის სამხედრო მაზრის გვარდის სარდალი დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოზის, თავის საკუთარის თხოვნისა მებრ, დათხოვნილია ამ თანამდებობიდამ; სხვა ყველა თანამდებობა კი დარჩება. დ. მ. მემკვიდრე დაინიშნება იმის ადგილზე გვარდიის ჯარის უფროსად; ვლადიმერ ალექსანდრეს ძე დაინიშნება გვარდიის კარპუსის უფროსად.

რაგუზა, 18 აგვისტოს. აქ მოვიდა ფრეგატი (ხომალდი) „სვეტლანა“. დულცინიოს მცხოვრებლები და ალბანიის აჯანყებულები ერთად დაბანაკდნენ იმ განზრახვით, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ დულცინიოს დათმობაზედ ოსმალოს რეგულიარული ჯარები მმებივით ეპყრობიან იმათა.

ბერლინი, 18 აგვისტოს. სამხედრო ხომალდი „ვიქტორია“ დანიშნულია ოსმალეთის წინააღმდეგ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად

## დაბრუნებული აფხაზები

ტფილისი, 19 აგვისტოს.

„დროების“ მე-173 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათომიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებდა რომ ამ დღეებში იქ მისულა ოსმალეთიდამ გემი, რომელსაც ათას სულამდის უკან დაბრუნებული აფხაზი მოუყვანია; ამათ ჰსურთ ისევ თავიანთ ქვეყანაში დასახლდნენო; თვრამეტი დღეა, რაც გემზე ჰყრიან გარეთ შიშველნი, მშიერნი, ათი სული მოკვდა შიმშილისაგანაო და სხვ. მაგრამ ამათ ხმელეთზე გამოსვლისა და ისევ თავის ქვეყანაში დასახლების ნებას არ აძლევენო.

რამდენათაც ჩვენ ვიცით, უმაღლესს მთავრობისაგან არც აფხაზებისა და არც ბათომის მხრის მაჰმადიან ქართველებისათვის, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, უკან დაბრუნება არ არის აღკრძალული; პირ იქით, ნამდვილათ ვიცით მაგალითები, რომ რამდენიმე ქობულეთელს და აფხაზებსაც, ოსმალეთიდამ დაბრუნებულებს, მიეცათ უფლება, რომ თავიანთ ქვეყანაში დასახლდნენ ხელ ახლად და ჩაიბარეს თავის ადგილ-მამული.

ამის წინააღმდეგ განკარგულებას ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ; . . . . . . . . . . . . . მართლა, მოიგონეთ—როგორ ძალ-დატანებით გადაიყვანა ოსმალოს ჯარმა აფხაზები ოსმალეთში. მოიგონეთ — როგორ ატყუილებენ და რამდენის ოინებით აგონებენ ბათომის მაზრის ქართველებს მოლლები და ბეგები, იმისთვის რომ, თავის მამა-პაპეული მიწა-წყალი მიატოვებინონ.

ამას გარდა უმაღლესს მთავრობას ძალიან კარგათ ესმის თუ ამ ადგილობრივ, ძირეულ ხალხის გადასახლებით რამდენი დააკლდება ამ მხარეს; ესმის, რომ ამათ გარდა თითქმის არც ერთ სხვა ხალხს არ შეუძლია აქ გაძლება, ცხოვრება და ზღვის ნაპირების დაცვა. ესმის აგრეთვე ისიც, რომ ერთხელ შეცოდებულ ხალხს

## ფელტონი

### მოგზაურობა საინგილოში

II

ილისოს სიმაღლე. ვერცხლიანი მთა ალთურქანი, ეზლი, ქოთიქლი. სოფელი ორად იყოფება. ჭავა. მცხოვრებლების სისაღე. მღვიმეები წყაროები, ჭები და საკადულები, აზანოს ღელე ქომაძერა (ღელე) და ქურმუხის ღელე. „რამ-რამაი“. მოს-ბულაღი და აზანო (ჭამამ). ყიზბულაღ (საქალო წყარო) და ოღან-ბულაღ (სავაჟო წყარო) „ყაინათმა“. ხალხი ცივდება, ფული დაურიგეს. მთაზე გადაყვანილი არხი თამარ-მეფისა. ლეკები ჩვენი ძმები.

ილისო 4,000 ფ. ზევითაა ზღვაზე. ამ სიმაღლე ადგილს დასავლეთის მხრით არტყია მთა ალთურქანი, აღმოსავლეთის ეზლი (სასპილენძო); ეს ორივე მთები სოფლის სამხრეთის მხრით ერთმანერთს უახლოვდებიან 150 ნაბიჯზე და ვიწრო ყელს აკეთებენ; ჩრდილოეთის მხრით მაღალი მთაა—„ქოთიქლი, სიგანე ეზლიდგან ალთურქანამდე ერთი ვერსიდგან $1^{1}/_{2}$-მდეა; ყელიდგან ქოთიქლიმდე ხუთი ვერსი, ხოლო სოფლის სიგრძე არის 4 ვერსი.

მთა ალთურქანი შესანიშნავია მით, რომ აქ იპოვება ვერცხლის მადანი, მაგრამ ხალხი თავის უმეცრების წყალობით ვერ ადნობს და ვერ სწმენდავს სხვა-და-სხვა ნივთებისაგან ვეცრხლს, ამიტომ ვერცხლის საქმე აქ თითქმის არ არსებობს.

სოფელს უჭირავს მშვენიერი ადგილი, თუმცა ვიწრო, ქვიანი, მაგრამ მაინც საამოა საცხოვრებლად. საღი მთიური ჰავა, მდ. ქურმუხის ხეილი, რომელიც ილისოს მარჯვენა მხრით ღრმა ლუზრმით ჩარბის ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ, მაღალი მდებარეობა სოფლისა პოეტურ ადგილად ჰხდიან ილისოს; ილისოს ჰავა ისეთი მრთელია, ისეთი საღი, რომ ილისოელმა არ იცის რა არის ციებცხელება; სხვა და სხვა ავადმყოფობა აქ სრულიად არ იცის. ზამთარი აქ მაგარი და გაუძლისია, ზაფხული მეტად გრილი, რადგან მზეს თითქმის მთელ დღეს ეფარება აღმოსავლეთის მხრით მყოფი მთა ეზლი; ამიტომ ამ სოფელში დღე-ღამ სითბო-სიცივე ერთნაირია.

აქაური ხალხი ბროწეულივით წითელი, საღი და მეტად ლამაზია; ამის მიზეზი არის აქაური ჰავა. საკვირველია, რომ მთელ ლეკის ხალხში მხოლოდ ამ სოფელში ხალხი ისეთი ლამაზია, როგორც გურულები (ქართველები) და ერთაც ჭარ-ბელოქანში. ეს აიხსნება მით, რომ ეს ხალხი გარდაქართველებული არიან.

სოფელი ორად იყოფება: ზემო და ქვემო ნაწილად, ზემოში არის სულთნების სახლები, მეჩეთები; ქვემოში ეხლა ხანს სულთანმა ხალილბეგმა ააშენა ევროპიული სახლი, რომელიც ვიწრო ყელიდგან გამომავალ გზას მაღლიდგან არწივსავით გადმოჰყურებს. ბევრი არის აქ კიდევ კარგი სახლები. საზოგადოთ ყველას სახლები ქვითკირისაა და ლაზათიანად შიგ მოწყობილი: ილისოელი ლუკმა პურს მოიკლებს, ოღონდ კი ლოგინი, ქვეშსაგები წმინდათ შეინახოს და მდიდრულად მოაწყოს.

ეზლის ფერდობზე სოფლის მარცხენა მხრით არის ერთი კოშკი, რომელიც აშენებულია ამ სასულთნოს თავისუფლების დროს. კოშკი ქვისაა, ოთხ კუთხიანი, ექვს სართულიანი, გარშამო ქვის გალავანით, კოშკის სიმაღლე 14 საჟენი.

შორი-ახლოს ალთურქანისა არის მღვიმეები, რომლებშიაც, როგორც გვეუბნება გარდმოცემა ცხოვრობდნენ ქართველი ქრისტიანები, რომელნიც ამ გვარ ადგილებში იხიზნებოდნენ განძვინებულ მტრების, მაგ. მონგოლების და სხ. შემოსევის დროს. აქაური მაღალი, მდიდარი საბალახოები შეძლებას აძლევენ ხალხს შეინახონ ბლომად ცხვარი და სხვა პირუტყვი.

აქ მრავალი წყაროები, ჭები და ნაკადულებია. მეტადრე დასავლეთის მხრით. მშვენიერი ნაკადულიც ნახევარი ვერსის სიშორეზეა ილისოდგან. ეს ჩანჩქერი 40 ფ. სიმაღლიდგან, მინამ ძირს ჩამოვარდება, ეცემა კლდეს და ათას ნაწილად იყოფება და ათასზე უფრო მეტ ნაპირწკალს ისვრის აქეთ-იქით.

იქ, სადაც აღმართულია ჩრდილოეთის მხრის მიჯნა ილისოს ღელისა,

და მერე სინანულში შესულს ყველაზე უფრო უნდა ენდობოდეს მთავრობა, ყველაზე უფრო საიმედოთ და ერთგულ ხალხად უნდა უყურებდეს.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

კაცთ-მოყვარების გრძნობისა და სამართლიანობის გარდა, ვიმეორებთ, თვით სახელმწიფო სარგებლობა მოითხოვს, რომ ხელ-გაშლილი და გულდია მივიღოთ ჩვენ მაჰმადიანი ქართველი, აფხაზი, ჩერქეზი და საზოგადოთ ყველა, ვინც კი ჩვენგან გადასახლებულა და დღეს მოდის და სინანულით გვთხოვს პატიობას და ხელ-ახლად მიღების ნებას.

ამიტომაც სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა დროზედ მიაქცევს ყურადღებას იმ საბრალო ქრისტიან აფხაზებსა და ბათომის მხრის ქართველებს, რომელნიც შეცდომით გადასახლებულან ოსმალეთში, ამდენი წვალება, შიმშილი, სიცივე სიტიტვლე, გამოუცდიათ ველარ მოუთმენიათ ეს წვალება და ისევ უკან დაბრუნებულან შეწყნარების სათხოვნელად. ღირსნი არიან ესენი შეწყნარებისა. ამ შეწყნარებას თვით მთავრობის სარგებლობა და ინტერესი მოითხოვს...

## ახალი ამბები

—

თუმცა ამ უკანასკნელს დროს ჩვენს ქალაქში საკმაოდ აგრილდა, მაგრამ პატარა ბიჭები მაინც კიდევ არ იშლიან მტკვარში ჭყუმპალაობას. საუბედუროდ, ამ ჭყუმპალაობას ხანდისხან ერთობ ცუდი შედეგი მოსდევს: ამ ზაფხულის განმავლობაში რამდენიმე კაცი დაიხრჩო; განსაკუთრებით ხშირად იხრჩობიან ყმაწვილები; სხვათა შორის, ჩვენ გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ორი ყმაწვილი დამხრჩვალა, ერთი 12 და მეორე 14 წლისა.

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ერთს ვიღაც ნემეცს თუ სომეხს ძველი დამოჯნის მახლობლად ტყავის ქარხანა გაუმართავს და ამისაგან ქარხნის ახლო-მახლო ისეთი საძაგელი სუნი დგასო, რომ კაცს ვერ გაუვლიაო. თუ ამ ქარხნის თაობაზედ პოლიციამ რამე განკარგულება არ მოახდინაო, უეჭველია, ერთი რამ ავათმყოფობას გააჩენს და გარემო მცხოვრებლებს დიდ ზარალს მოუტანსო.

* * *

ერთს ამ გვარსავე გარემოებას სომხურ გაზეთს „მშაკშიაც" იწერებიან: ვიღაცას საპნის ქარხანა გაუკეთებია ჰავლაბარში და ამის გამო საძაგელი სუნი დგას ქარხნის მახლობლად, ხშირი ავათმყოფობა გაჩნდა და ხშირადაც იხოცება ხალხიო.

გასაკვირველია, რომ ამისთანა უწესობა მარტო ჩვენს ქალაქში ხდება: სხვა ქალაქებში ადმინისტრაცია და ქალაქის თვითმმართველობა არასოდეს და არავის არ მისცემს უფლებას იმისთანა ქარხნის გამართვისას ქალაქის წრეში, რომლის სიახლოვე მცხოვრებლების ჯანმრთელობისათვის მავნებელია. ჩვენს ქალაქში კი ამ გვარ გარემოებას არავინ არ აქცევს ყურადღებას, თითქო ჩვენი ქალაქის ჰავა ისე კარგი იყოს, რომ ამისთანა ჰავის გამაფუჭებელი ქარხნები იმას ვერას დააკლებენ...

* * *

ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ დღეებში ერთს ოქრო-მჭედლის შაგირდს ერთი მეპურე მოუკლავს; პურის თაობაზედ მოსვლიათ ჩხუბი, შაგირდს აუღია ქვა, უკრავს მეპურისათვის თავში და იქვე მოუკლავს.

* * *

ახალციხიდამ გვწერენ, რომ ამ რამდენიმე დღის წინათ იქითკენ დიდი წვიმები ყოფილა, თვითონ ახალციხეში, ურიების უბანში ნიაღვარი მივარდნილა და ზოგიერთი სახლები წყლით ავსილა. ამბობენ, ერთი თუ ორი ურიაც დაუღრჩვია ამ ნიაღვარსაო.

* * *

თერგის ხეობიდამ გვწერენ:

სოფელს სნოს ორი კვირაა მას აქეთ რაც გაჩნდა ყელის-ტკივილის ავათმყოფობა და ამ ორის კვირის განმავლობაში რვა სული დახოცა. ამ ავათმყოფობით იხოცებიან ოთხის წლიდამ, ვიდრე შვიდი წლისანი. ავათმყოფებს ჯერ მისცემს სიცხეს, მერე ასტკივდებათ ხოლმე ყელი, და ოთხი-ხუთი დღის განმავლობაში იხოცებიან.

„ამასთანავე ამავე ხეობაში სოფ. ბორის-ციხეს ერთი კვირა იქნება, რაც გაჩნდა სხვა რიგი ავათმყოფობა, რომელსაც ეძახიან მუცელ-კეთილას. ამანაც ერთი-ორის წლის ქალი იმსხვერპლა და რამდენიმე სხვა ყმაწვილები ამავე ავათმყოფობით ავათ არიან. დღე მიდის, ავათმყოფობა ხშირდება, და ჩვენის უბედურის სოფლელებისათვის არც დოქტორია და არც წამალი.

„კარგი იქნებოდა ყურადღება მოექცია მთავრობას და გამოეგზავნა დოქტორი.

* * *

ჩვენ მივიღეთ ბექანთუმნიდამ შემდეგი შენიშვნა:

„როგორც სჩანს, ჯერ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილად არ გადავარდნილა ბატონ-ყმობა და „ჩვენი ბატონები" ძველებურათ, მამაცურათ ატყაპუნებენ ფეხებს, თუ კი ნახეს იმისთანა ალაგი და თუ დარწმუნებულნი არიან, რომ იმათი ბრძანება კიდევ იპოვნის გზას.

„დღეს ბექანთუმანში რამდენიმე ქართველ — თავადის შვილებს ჰქონდათ თავი მოყრილი მამულების გამიჯვნის თაობაზედ სოფლის კანცელარიასთან. აქ ერთი საწყალი გლეხი მოვიდა მამასახლისთან საჩივლელად ერთ კაცზედ, რომლის ღორს აეოხრებინა იმისი სიმინდი; თურმე სამჯერ მოესწრო ამ ღორისთვის და სამჯერვე გაგცევიყო; ახლა კი დაეჭირა და ითხოვდა გაფუჭებული სიმინდის ღირეულს ღორის პატრონისაგან, რომელიც ამ დროს იქ იყო.

„ამ დროს წამოდგა წინ ამ ღორის პატრონის ნაბატონარი თავადი დ. ა--ძე და ძველებურათ ლონჯ შემოყრილი დაუტყაპუნა ფეხები მოჩივარს, თუ შენ როგორ შეგიძლიან, გადაახდევინო რამე ღორის გულისთვისო!

„ამაზედ მოჩივარმა უპასუხა, რომ ვისაც-კი მოვასწრობ ჩემ ყანაში არამც თუ გადასახადს, ჩემს თავსაც შევაკლაო. ეს პასუხი ძალიან იწყინა გლეხისაგან დ. ა ძემ და მომეტებულათ დაუტყაპუნა ფეხები და შეაყარა გლეხს პირში დორბლები და უბრძანა ღორის პატრონს, რომ ბოძზედ მიაკრას ის და ჰყვანდეს ისრე სანამდის ღორს არ ჩამოუყვანს. ღორის პატრონმაც წაავლო მაგრათ საყელოში ხელი საბრალო გლეხს და წაათრია ხეზედ მისაკრავათ...

* * *

გუშინდელს „კავკაზის" №-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ვიღაც დ—სა იმ შენიშვნის შესახებ, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის № 171-ში თ.თ. ესტატე და

---

იყრება სამი ღელე: აბანოს დერა (ღელე), ჭომა (ქვემო); დერა და ჭურმუხის ღელე. პირველს ღელიდგან გამოდის მდ. ამამოჩაი, რომლის სათაური არის დიდი კავკასიონის ქედზე-ყარა-ყაიდგან — (შავი კლდე), ეს წყალი ზემო ილისოსთან შემდინარებს ჭურმუხში. თვით ჭურმუხი გამომდინარებს ქურიდალიდგან ქომა დერით). ეს წყალი სათაურშივე, შავი ფერისაა და თითქმის მთლად შლამისაგან, შასდგება 7000—8000 ფ. სიმაღლიდგან ეს წყალი ისეთის სისწრაფით ჩამორბის და ისეთ ნაირად ალელდება წვიმის დროს, რომ რაც წინ შეხვდება: ხარი, კამეჩი, წისქვილი, ხე, ხიდები, სულ ერთიანად მიაქვს, მრავალჯერ სოფლებიც გაუფუჭებია და ხალხიც დაუღუპავს. მთელი კაკის ნახევარი წალეკა და რიყეთ აქცია, ხალხმა არ იცის ეხლა საითკენ წავიდეს და სად იშოვოს საცხოვრებელი ადგილი კაკის ქვემოთ ეს წყალი მგრიჩაის ერევა და ორივე ერთად ალაზანში შემდინარებენ.

ჭომა დერიდგან, რომელიც 3—4 ვერსის სიგრძეა და სიგანით კი 80—100 ნაბიჯი, გამოდის ალბულაღჩაი, რომელიც ღრმა არ არის, მაგრამ მეტად წმინდა და ანკარაა; ამ ღელის გარშამო კლდეებია, რომლებიდგანაც წმინდა წყლები—ნაკადულნი ჩამორბიან და ალბულ-ჩაის ერევიან.

იქ შესანიშნავია ერთი ნაკადული: „რამ-რამაი", რომელიც 15 საჟენის სიმაღლიდგან ჩამორბის და ისე ღონიერად ეცემა ძირს კლდეს, რომ 150 ნაბიჯზე გარშამო იფანტება მისი ნაპერწკლები. შესანიშნავია ეს ადგილები კიდევ მით, რომ აქ მრავალგან იპოვება გოგირდიანი წყლები. ამათში შესანიშნავნი არიან: „მოხობულალი" და ამამი (აბანო).

მოხურ-ბულალი ილისოდგან თითქმის ერთი ვერსის სიშორეზეა მაღალს ადგილას. ამ წყლის ტემპერატურა 17-° *R.* (საათი დილისა მზიან დღეს). ამ წყაროს გარშამო მძიმე გოგირდის სუნი დგას. ხალხმა იცის ამ წყლის კარგი მარგებელი თვისება, სვამენ მას ავათ გახდომის დროს, დოქებით შინ მიაქვთ და ავათ-მყოფებსაც ასმევენ. ამ მოხის პირდაპირ ჭურმუხის მეორე ნაპირზე არიან კიდევ მრავალი მჟავე წყლები.

აბანოს (ამამის) ნახვა ან შიგ ბანაობა ვისაც ჰსურს, უნდა ცხენი დაიქირაოს თვით ილისოში, ამამ დერით გამგზავრდეს ზევითკენ, როცა 14 ჯერ იგი გადავ-გადმოვა ამამ-ჩაიზე მივა იმ ადგილას საცა აბანოა.

აბანო არის ერთი დიდი ოთახი, რომელშიაც 10 საჟენის სიმაღლიდგან ვარდება სისქით 1 ნახევარი ვერშოკი გოგირდიანი წყალი. აბანო აშენებულია იქ, საცა მარცხენა მთა, სწორე კუთხეს აკეთებს და ზევითკენ მიმართება, იქითკენ, სადაც მოპირდაპირე მთები ისე უახლოვდებიან ერთმანერთს, რომ საჟენ ნახევარი ადგილი აღარ რჩება მათ შუა, აბანოს წყლის სითბო 30-° *R.*

სასიამოვნოა მგზავრისათვის აქ ყოფნა, როდისმე შემდეგ ოთხ თვეში: მაისში, ივნისში, ივლის და აგვისტოში. აბანოს გარშამო, ზედ აბანოს ბანზე, ქვემოთ ღელეში, კლდის ნიშებზე სხედან მეაბანოები, ზოგი მათგანი ახლად გამოსულა აბანოდგან და ქვეშსაგებში ეხვევა, ზოგი ხორაგს იხარშავს, ზოგი სჭამს, ზოგი თამაშობს, ზოგი მღერის, ან ცეკვობს. ერთის სიტყვით მგზავრის ყურადღებას მიიზიდავს.

რამდენიმე საჟენის სიშორეზე აქედგან არის კიდევ ორი წყარო: ოღლან-ბულალი (სავაჟო) და ყიზ-ბულალი (საქალო).

რომ მკითხველმა კარგად გაიცნოს ამ აბანოს გოგირდიანი წყალი, კარგი იქნება მოვიყვანოთ ბ. დრეიერის ანალიზი ამ წყლისა მის ანალიზით „**елисуйская щелочная вода**" შესდგება 1000 ნაწილიდგან:

| | |
|---|---|
| $CO_2$ *NaO* . . . . . . . | 0,611 |
| *CZ Na* . . . . . . . | 0,180 |
| $SO_3$ *KaO* . . . . . . | 0,003 |
| $CO_2$ *CaO* . . . . . . | 0,013 |
| $CO_2$ *MaO* . . . . . . | 0,020 |
| მიწადი (**глинеземъ**) . . . | 0,003 |
| ტალკვესადი (**кремнеземъ**) . | 0,002 |
| ორგანური ნივთეულობა . | 0,056 |

თუმცა არსად არ შევხვედრია ქართულს ნაწერებში და წიგნებში ცნობა ამ აბანოზე, მაგრამ ხალხური გარდმოცემა გვეუბნება, ილისის აბანო აშენებულია მაშინო, როდესაც ყველა ეს ადგილები ეკუთვნოდა სა-

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელთ შორის:

„დროებაში“ დაბეჭდილია სტატია(?) თ.თ. ესტატე დავითის ძის და გიორგი ნიკოლოზის ძის ბაგრატიონ-მუხრანელთ უბედურ შეყრის(?) თაობაზე. ეს შემთხვევა „დროებაში“ შეცდომითაა აღწერილი; ამიტომაც მე, როგორც დამსწრე, ჩემი თავის ვალად ვრაცხ გაცნობოთ წმინდა სიმართლე. საქმე ასე მოხდა:

„თ. გ. ბაგრატიონ-მუხრანელმა, როგორც წინ ლამით თვითონ ამბობდა თ. ალ. ბაგრატიონ-მუხრანელთან, ივნისში თავის საკუთარ მამულში მდ. ქსანზე გააკეთა ფაცერი. აგვისტოში თ. ესტ. ბაგრატიონ-მუხრანელის გლეხებმა თავიანთ ბატონის ბრძანებით სულ დაანგრიეს ეს ფაცერი. თ. გ. მუხრანელმა როგორც კი შეიტყო ეს, აქტის შედგენა სთხოვა სოფ. მუხრანის მამასახლისს და როცა აქტი შედგენილი იყო თ. ესტატე მუხრ. მიიხმო მამასახლისი და როგორც იმას ისე მოწმეთაც აუკრძალა აქტზე ხელის მოწერა. ამის გამო თ. გ. მუხრ. 10 აგვისტოს დილით თან გაიყოლია მუშები და წავიდა ფაცერის გასაკეთებლად.

„ამ დროს მე სხვა ყმაწვილ-კაცებთან ერთად სანადიროთ ვიყავით. შუადღეზე, როცა მე იმ ადგილის სიახლოვეს ვიყავი, სადაც ფაცერს აკეთებდნენ ჩემთან მოვიდა თ. გ. მუხრ. და მე დავჰყავი მასთან 4 საათამდე. ამ დროს მოვიდა თ. ესტატე მუხრ. თავის კაცებით. აი აქ მოხდა ის უბედური შეყრა(?) ორთავე თავადიშვილებისა და შემდეგ წალაპარაკება მათ შორის. როცა თ. გ. მოინდომა თ. ესტატეს ცხენისთვის სადავეში ხელის წავლება უკანასკნელმა ცხენი დაატაკა და ქორგა მოუქნია. თ. გ. მუხრ. სადავეს ხელი გაუშვა და იქვე თ. ესტატეს ესროლა ორჯერ ჯიბის რევოლვერიდამ და თოფიდამ, რომელიც საფანტით იყო დატენილი. ეს თოფი თ. გიორგიმ გამოთხლიშა ერთს ყმაწვილ-კაცს, რომელიც ჩემთან იყო და იმ დროს თ. გიორგის ახლოს იდგა. უკანასკნელად მაშინ გაისროლა თ. გიორგიმ, როცა თ. ესტატემ დაუყვირა თავის კაცებს: „მოჰკალით მაგ.“ რამდენიმე ხანის შემდეგ, როცა თ. გ. მუხრ. გონზე მოვიდა, მისი პირველი სიტყვები, რომლითაც მე მომმართა შემდეგი იყო: „ღმერთო, ჩემო, ეს რა ვჰქენი? ნუ თუ მე ძმა მოვჰკალი?“ ტფილისში დაბრუნების შემდეგ მე შევიტყე რომ თ. ესტატე მუხრანელი რჩება.“

დამსწრე დ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

დ. ყვირილა, 15 აგვისტოს. „ნუ—დასცინებ სხვასაო, გადაგხდება თავსაო,“ ამბობს ჩვენი ქართული ანდაზა. ამ უკანასკნელ დროში, როგორც ვატყობთ ეს ანდაზა ჩვენ, იმერლებზე ასრულდება თან-და-თან. წინეთ მეგრელებს დავსცინოდით ქურდობას და ახლა პირველი ბანძლები ჩვენში შეიქნენ. წინეთ ჩვენებს დიდათ ეთაკილებოდათ ქურდობა და ახლა როგორც თავის ოჯახში, ისე შედიან სხვის სახლებში და ცარცვენ რაც რამე გააჩნია.

ამ ნაირი შინაური ქურდები თითქმის ყოველს სოფელში მოიპოება: ალაგ თითო და ალაგ რამოდენიმე. როცა დაეკარგებათ რამე, ადგილობითი მამასახლისი ეუბნება ხალხს, რომ ქურდი კაცები დაასახელონ თავიანთ სოფლებში და გავწმინდოთ იმათგან სოფელიო; მაგრამ ეს ამ ნაირი ქადაგება მამასახლისისა სულ ამაოთ მიდის. ხალხი ამბობს: „როგორ უნდა გავიმეტოთ მეზობელი, ჩვენი სისხლი და ხორცი? ეს ერთი შესცდა ახლა და სხვიმის არ იზამსო და სხვანი“.

ხალხს სხვა საშვალებით უნდოდა ამ ქურდებიდგან განთავისუფლება: მილიციის დროს უნდოდა ამოერჩია ეს ქურდები და ომში გაეგზავნა; მაგრამ ვერც ეს მოუხერხდათ. მილიცია კენჭის-ყრით მოგროვდა და კენჭი ზოგს ქურდს და ზოგს კეთილ კაცს შეხვდა; სოფელი კი ისევ ვაუწმედელი დარჩა ქურდებიდგან. ომის განმავლობაში სოფელი ცოტა არ იყოს თავისუფალი იყო. მაგრამ შემდეგ, როცა ომი გათავდა და მილიციონერები შინ დაბრუნდნენ, ჩვენ-და-საუბედუროთ არამც თუ თვითონ გადაჩვეოდნენ ქურდობას და ავ-კაცობას, არამედ კეთილ და პატიოსნებისთვისაც ესწავლებინათ ეს მათი მშვენიერი ხელობა. ანკი რა გასამტყუნარია, „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო. ახლა, ბატონო, ჩამოვიდნენ თავთავიანთ სოფელში და უმეტესს ნაწილს მათგანს კეთილი ცხოვრება უყვარს და წყალში ფეხის დასველება კი ეზარება კატის არ იყოს; შრომის მოყვარენი არ არიან და ჯიბეები კი სქლათ აქვთ. ძლიერ მსურს ვიცოდე—საიდგან შოულობს იმ ნაირი კაცი ფულებს, თუ ქურდობიდგან და ავკაცობიდგან არა, რომელსაც შრომა არ უყვარს, ადგილ-მამულიდგან იმდენი შემოსავალი არა აქვს, რომ ასე იცხოვროს, როგორც ახლა ცხოვრობს, ნასწავლი არ არის, რომ სამსახურში სადმე იყოს და ჩინოვნიკის შვილი არ არის, რომ მამის პენციას იღებდეს და სხვ. ჩემის აზრით უსაქმოდ ყოფნა კაცს არამც თუ მარტო ქურდობას, არამედ ყველაფერს მოაფიქრებინებს; ხშირათ შეიძლება იქამდის მიიყვანს კაცს, რომ თავისაც მოიკლავს; ასე რომ ამ ქურდობის მიზეზი უსაქმოდ მყოფობა, სიზარმაცე და ხასიათის გაფუჭება არის. როგორც ტყვილა მჭამელებმა მოიმატა ჩვენში, ისე ქურდობაც გახშირდა თან-და-თან.

ამისთანა მდგომარეობაში მყოფი ხალხი დიდის მოწიწებით მოველოდით ხევის-თავების დადგენას იმ იმედით, რომ ეგებ ამათ მაინც შეაშინონ ქურდები და სოფლები გაიწმინდოს; საუბედუროთ, ახლა, როგორც ეჩნევა, უფროც გახშირდა ქურდობა. ქურდები ახლა თურმე ასე ამბობენ: „ბიჭობა ახლა იქნება, ვინც ამ ხევისთავებს მოპარავს რასმეს, თორემ აქამდის რა იყო, მაინც არავინ გვიყარაულებდაო.“

ს. ქვალითში ერთ საწყალ გლეხს დიდის ოფლის ღვრით და შრომით როგორც იყო 15 თუმანი შეეგროვებინა; თვითონ ტანისამოსი არ ეცვა და ამ ფულებს თურმე საყანე ადგილის სასყიდლათ ინახავდა, დღე თურმე უბეში ქონდა და ისე დადიოდა სამუშევარში და ღამე ზანდუკში ინახავდა სახლში. ერთ დღეს სალაც მისდა-საუბედუროთ ცოლ-შვილით აბანოზე წასულიყო და სახლში ორი ბიჭი დაეტოვებინა. იმ ღამეს თურმე ცოტა ცხელოდა და ეს ბიჭები ორთავე აივანში დაწვნენ გარეთ. იმათ ძილში მოსულან ქურდები, შესულან სახლში და ზანდუკიდგან ეს 15 თუმანი წაუღიათ. იმ ღამეს არაფერი, და მეორე დღეს კი, როცა ამ გამონგრეულ სახლის საფუძველს შეხედეს ბიჭებმა, მაშინვე ზანდუკისაკენ გაექანენ, მაგრამ ვაი ამისთანა ნახვას, ზანდუკი გატეხილი დახვდათ და ფულები წაღებული.

წავიდნენ გულ-შეწუხებულნი და ადგილობითი მამასახლისს შეატყობინეს; მამასახლისმა გამომძიებელს აც-

---

ქართველოს, ესე იგი მე-XIII საუკუნის დასაწყისამდე.

რადგანც გოგირდიან წყლებზე დავიწყეთ ლაპარაკი, უნდა მოვიხსენიოთ აგრეთვე ალიბეგლოს გოგირდიანი ცივი წყალი, რომელსაც ქაინათმა ჰქვიან. ამ წყლის კარგი თვისება არაფრით არ დაუვარდება აბანოსას. ზაფხულის თვეებში აქაც მრავალი ხალხი მოდის საბანებლად. ჩვენ ხალხში ამ წყლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ: რადგანც სამღთო ადგილებათ მიაჩნიათ და ღვთიურ ძალას მიაწერენ.

ჩვენდა-საუბედუროთ ბევრი ხალხი აქვე ცივდება და ავად ჰხდება, ეს იმიტომ რომ არც აქ და არც ზემოთ „აბანოში“ არ არის გაკეთებული კარგი სადგომები, ოთახები. ხალხი შორეულ გზით, ურმებით მოდის და წყაროს გარშამო უვარგისს კარვებ-აკეთებს და შიგ ბინავდება. ეს კარავები ვერც მზისგან იცავენ ხალხს ვერც წვიმისაგან. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ქარავებში ზიდავენ წყალს, აცხელებენ გაცხელებულ ქვით და ნავშიასხმენ და შიგ ბანაობენ. ეხვი არ არის, რომ კარგი ოთახები იყოს, მაშინ ეს წყლები უფრო ბევრს სარგებელს მოუტანს ხალხს.

მაგრამ სად არის ხერხი, ცოდნა და ვინ არის მოთავე? წრეულს რომ მუქთა-მჭამლებისათვის არ ეჩუქებინათ დიდ-ძალი ფული *) და ეს აბანოები იმ ფულით ვაეკეთებინათ, ეხვი არ არის, რომ დიდ სარგებლობას მოუტანდნენ ხალხს! მაგრამ უბედური უფროსები ხალხის სიკეთეზე როდი იღვწიან: მათი საქმე ხალხის ყვლეფაა, ულირსთ კაცების შველა და სხვ...

სოფ. სარუბაში (ილისოდგან 35 ვერსი), სადაც ბევრი შესანიშნავი ადგილები არის, ერთ ადგილს იქ ჰქვიან „ბურჯი ყოშინი“ (ქართველების ჯარი), სასაფლაოებზე ქართული ნაწერები არისო, ეკკლესია არისო და სხვ. იქაური ლეკები ამბობენ, რომ ისინი ქართველების ძმებია *).

შესანიშნავ უწინდელ ნაშთებს ეკუთვნის აგრეთვე ნუხის არხი.

სოფ. ბიშის ქვემო მხრიდგან მთის ფერდობზე აყვანილია წყალი და იმ ფერდობით კლაკვნით, გრეხით წყალი (ერთი ხევი) ზედ ბორის სერზე (300-400 საჟ. სიმაღლეზე მიწის პირიდგან) აყვანილია და იქიდგან მეორე ფერდობით ჩაყვანილი მინდვრების მოსარწყავათ. ამ არხის სიგრძე იქნება არა ნაკლებ 10-15 ვერსისა.

ვინ გაიყვანა ეს არხი, როდის და როგორ? ამ კითხვებზე პასუხის ვაცემა დაჯერებით არ შეგვიძლიან, რადგან არსად ეს არხი არ იხსენიება. მხოლოდ შეგვიძლიან მოვიყვანოთ ხალხის, მეტადრე ინგილოების აზრი, რომ ის არხი თამარ დედოფლისაგანაა გაყვანილიო. შარშან, როცა ნუხში მივდიოდი, ვკითხე მოხუცებულ კაცებს (მოსლემინებს) იმ არხის ავ-კარგიანობაზე. იმათ მითხრეს, რომ: „არხი გაყვანილია შადიმაი შერისაგანო (თამარ მეფე თათრულად). ესრეთი აზრი ხალხისა დასაჯერებელია, მეტადრე მაშინ, როცა მოვიგონებთ მას, რომ რაც არხები და რუები გაყვანილი საქართველოში ეკუთვნის თამარ მეფის დროს.

ამისთანა დიდს და ძნელს საქმეს, ამისთანა საკვირველების გაჩენა შეუძლია მხოლოდ დიდს, მძლავრს და ხერხიანს ადამიანს, ამ გვარი იყო თამარ მეფე მე-XII საუკუნეში ქრისტეს აქეთ.

უკვდავი არის, თამარ მეფევ, სახელი შენი ჩვენს ხალხში დიდებულის შენი ჭკვა-გონების დატოვებული ნაშთების წყალობით!..

მ. ჯანაშვილი.

(დასასრული)

*) წრეულს მუქთა-მჭამლებს: მამასახლისებს და სხვა სოფლის მოხელეებს აჩუქეს ხალხისგან წართმეული შტრაფის ფული: ზოგს 50 მ., ზოგს 25, ზოგს 15 და ამ გვარად სხვებს. ასე რომ სოფლის საზინები ესლა აღარ არსებობენ.

ავტ.

*) თვითონვე ლეკები ყოველთვის ამბობენ, რომ ჩვენი და ქართველების წინაპრები ძმები ყოფილანო, რომ ჩვენ ერთი მამის შვილები ვართო; ერთის ძმის ჩამომავლობა ჩვენა ვართ და ერთის თქვენო. მოდი და ნუ დაიჯერებ ვახუშტისაგან მოყვანილ ლეგენდარულ ჩამომავლობას ქართველებისას...

ავტ.

ნობა და გამომძიებელი პოლიციის პრისტავით და ყაზახი რუსებით დაეხსნენ თავს ერთს აქაურს გლეხს და გაჩხრიკეს; მაგრამ ვერაფერი ამოუჩინეს.

ამ გლეხზე ფულის დამკარგველს ეჭვი ჰქონდა, იმას აბრალებდა ფულების მოპარვას. ეს ფულები და ქურდი ჯერეთაც არ არის აღმოჩენილი.

ამას წინეთ დ. ქვირილაში გაცარცვეს კიდევ ერთი მკერვალი, რომელსაც ქალის ტანისამოსი მოსტაცეს. მაგრამ ამის ქურდები კი მალე აღმოაჩინეს. სამტრედიის სტანციაზედ, როდესაც მოპარულ ნივთებს ყიდდენ, მაშინ წაესწრენ თავს პოლიციის პრისტავი თავის ყაზახებით, რომელსაც აქიდგან ტელეგრამმით ქონდა ნაბრძანები იმათი ვინაობა. დაჭერილი ქურდები, კაბებით მხარზე გადაკიდებული მოიყვანეს დ. ქვირილაში. საქმე გამომძიებლის ხელში სწარმოებს.

თეოდ. ხუსკივაძე.

# უცხოეთი

—

**წვრილი ამბები.** პარიჟიდამ ბერლინის გაზეთს „*Post*“-ს აცნობებენ, აქ ვრცელდებაო ხმა რომ საფრანგეთის ელჩი ბერლინის კარის წინაშე, სენ-ვალიე სამსახურიდამ გამოდის და მისს ადგილზედ დაინიშნება ღენერალი შანზი, ამ უკანასკნელის მაგიერ პეტერბურღში დაინიშნებაო პოლიციის ნაპრეფექტარი რენო ვამბეტტას ახლობელი მეგობარი.

—

ოსმალეთს განუზრახავს თავის ჯარით ბალკანის გადასავალთ დაკავება. სახელმწიფოები ურჩევენ მას თავი დაანებოს ამ განზრახვას, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლგარიელნი აჯანყდებიანო და ამ აჯანყებას ზედ დაჰყვება რუსეთის გარევა ოსმალეთის საქმეებში.

—

ინგლისური გაზეთის ტაიმსის ფიქრით უკანასკნელი საერთო ნოტა დაარწმუნებს პორტას, რომ ბერლინის კონფერენციის განაჩენის მიღება აუცილებლად საჭიროა მისთვის. ერთს ნუმერში რომ ეს აზრია დაბეჭდილი, მეორე ნუმერში ვჰკითხულობთ სტამბოლიდამ მიღებულს წერილს, რომლის ავტორი ამბობს, აქ თან-და-თან ძლიერდებაო საიდ-ფაშის გავლენა, რომელიც სრულიად წინააღმდეგია ამ საქმეში დათმობისა.

# განცხადებანი

—


**სომეხის ნერსესის** სემინარიის მზრუნველთ რჩევაში ამ მარიამობისთვის 27-სა საღამოზედ 7 საათზედ არის დანიშნული ტორგი (უპერეტორშკით) იჯარით მისაცემათ იმავე შკოლის მამული (შემოწირული მიცვალებული არუთინ ოქოევისაგან) რომელიც იპოვება რიყეზედ **№ 46.** მსურველს შეუძლიან წაკითხვა პირობისა იმავე სემინარიის კანცელიარიაში ყოველ დღე, კვირისა და უქმ დღეების გარდა, დილის 10 საათიდან ვიდრე შუადღის 12 საათამდინ.

(3—2)

ვოდკის დეპო

ვლადიკავკაზის სავოდკე ქარხნისა

## შაუჩ

აცხადებს, რომ 15 ივლისიდამ ამ 1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ დაწმენდილი და გადაყენებული ვოდკები შემდეგი წოდების: სასადილო, ბრინჯისა და ბულმერინგის, თითო ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლიანათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25 კ. უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების საგანგებოდ დამზადებულნი ცალკე პრეისკურანტით იყიდება.

ერთად მყიდველებს ბევრს დაუკლებენ.

ეს ვოდკები საუკეთესო პურის არყიდამ ყოფილა დამზადებულნი საორთქლე დამწმენდელით და თავიანთ თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სატახტო ქალაქების ცნობილთ ფირმებს.

მივაქცევთ ბ. ბ. მყიდველების ყურადღება წარდგენილს ნაწარმოებზე რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პასუხს აგებს.

ვოდკის დეპო იმყოფება მიხაილოვის ხიდზე ვორონცოვის ძეგლის პირდა-პირ ლიხოტინსკის სახლში.

(8—1)

**სიღნაღის მაზრის მარშალი ამით მოიწვევს სიღნაღის მაზრის თავად აზნაურთა მობძანდნენ 31 აგვისტოს, კვირას, სოფ. ბაკურ-ციხეს, საკუთარ სახლში, თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად.**

(10—3)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

— — —1—20 — —1—60
— — —1—40 — —1—80
— — —1—60 — —2— „
— — —1—80 — —2—50
საუკეთესო—2— „ — —3— „

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალეგები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—12)

**მიიღეთ** დიდ-ძალი **ჩაი** პირ-და-პირ პლანტატორებისაგან—**ინგლისის მაღაზიაში.**

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამდები სენის წინააღმდეგი წამალი.

(10—5)

სამღვარ-გარეთის ყოველ-გვარ სავაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში ვაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*’-ის

ფირმით

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის საშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აველჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

**ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად**
**მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.**

(25—11)

**მურაბა** გემრიელი, კანფეტების ყუთი, მაგნეზია შერბეთი წყურვილისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები, გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

**კარბოლის** პარფიუმერია, კარბოლის წყალი და საპონი გადამდებ ავათმყოფობისათვის, მზის საათები დროების საჩვენებლად—ფასი 1 მან.—ინგლისი მაღაზიაში.

(40—36)

იყიდება

ახალი წიგნი

სამწერლო

## თაიგული

შინაარსი:

**I.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთვისა. **VII** ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილსისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ფ. გერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

**დაიბეჭდა და ისყიდება** ვართანო[ვ]ის წიგნის **მაღაზიაში**

## ალექსი

ფლაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

შენიშვნა

რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ახლა 2 მაეთად ღირს.

(100—29)


Дозволено цензурою. Тифлисъ 20 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი